საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზილგახოხი

ზილგახოხი, მწვერვალი კავკასიონის მთავარ ქედზე, მდინარეების სბისა და ჭელიათისწყლის (ლიახვის აუზი) სათავეებს შორის. სიმაღლე 3857 მ. აგებულია ზედაიურულ-ვალანჟინური მერგელებით, კირქვებით, კონგლომერატებით, თიხაფიქლებით, ქვიშაქვებით. კალთები ციცაბოა, დამახასიათებელია სუბნივალური და ნივალური ლანდშაფტი. მწვერვალზე 1852 ავიდა რუსი გეოდეზისტი, წარმოშობით პოლონელი, გენ.-ლ. ი. ხოძკო.

მ. უთმელიძე